

საქართველო სიღარიბის ბარეში

ლამაზი შრაზაა

გაზეთი “ახალი თაობა” – 25 ივნისი, № 173, 2008

ინტერვიუ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, ფაქტია, რომ წინასწარჩვენო პერიოდში ხელისუფლება და თავად პრეზიდენტიც პირობას დებდა, რომ უახლოეს პერიოდში თითოეული მოქალაქე იგრძნობდა კეთილდღეობას იმ ეკონომიკური რეფორმების შედეგად, რომელიც იაფი კრედიტების პროექტით და ა.შ. განხორციელდებოდა. შესრულებადია ეს დაპირებები?

– ეს დაპირებები უნდა განვიხილოთ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში როგორ არის გაშლილი. მაისის თვეში უკვე დასრულდა 50 დღიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მთავრობამ შესთავაზა საზოგადოებას. ამ 50 დღიანი სამოქმედო გეგმით პრაქტიკულად ყველა ვალდებულება, რაც მთავრობამ აიღო, გააკეთა. მაგრამ, აქ დგება დიდი კითხვის ნიშანი იმასთან დაკავშირებით, რაც გააკეთა, ის რამდენად იმოქმედებს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე. ამ გეგმაში მთავრობას აქვს რამდენიმე საინტერესო პროექტი, რომელსაც მე დადებითად ვაფასებ. მაგალითად, იაფი კრედიტების პროგრამა. ეს დამწყები ბიზნესმენისთვის მართლაც კარგი ჩანაფიქრია. უბრალოდ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ იღებს გადაწყვეტილებას მთავრობა თავის სხდომებზე, რომელი პროექტი უნდა დაფინანსდეს და რომელი არა. უფრო ლოგიკური იქნებოდა, მთავრობას შეერჩია საუკეთესო საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც იქნებოდა მთავრობის შუამავალი და მთავრობის მიერ დადგენილი პირობებით ის გადაწყვეტდა ამ პროექტების დაკრედიტებას. მივესალმები იმას, რომ მთავრობა ხელს შეუწყობს 100 სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნას, მივესალმები მცირე ჰესების მშენებლობას. თუმცა, აქაც ყველაფერი ბოლომდე ნათელი არ არის: ხშირად

გაუგებარია, სად არის გამიჯვნა იაფი სესხების პროგრამასა და 100 სასოფლო სამეურნეო საწარმოს შექმნის პროგრამას შორის.

ამ 50 დღიან გეგმაში ისეთი ნაბიჯებიც არის, რომლებიც არ მესმის საერთოდ რა კავშირშია მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ამის შესახებ არაერთხელ მისაუბრია, მაგალითად, ესაა ყბადაღებული თავისუფალი ეკონომიკური ზონის თემა, რომელიც პრაქტიკულად ხელს შეუწყობს მხოლოდ ფოთისა და მიმდებარე რაიონების ეკონომიკურ განვითარებას, იქ დასაქმებას, ინფრასტრუქტურის შექმნას. ეს ყველაფერი მოხდება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე. რა მიზანი აქვს მთავრობას, განავითაროს მარტო ფოთი და ეს მოახერხოს მთელი დანარჩენი საქართველოს ხარჯზე? რა ალტერნატივა აქვს მაშინ, მაგალითად, ლაგოდეხის მცხოვრებს? რატომ არ უნდა იყოს იმის ინტერესიც, რომ ვიღაცამ, მაგალითად, რუსთავეშიც ჩაღოს ფული? ესეც კი ვისაც ფული გაუჩნდება, ყველა ფოთში გაიქცევა.

ასევე სრულებით გაუგებარია ევრობლიგაციების გამოშვება მით უფრო, როგორც ბოლოს განაცხადა მთავრობამ, 500 მლნ აშშ დოლარის ევრობლიგაციიდან 100 მლნ ჩაიდო სტაბილური განვითარების ფონდში, 150 მლნ მომავალი თაობების ფონდში, ხოლო 250 მლნ-ზე ჯერ მთავრობას არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. ყოველ შემთხვევაში ასე აცხადებენ. ასე რომ, გამოდის საქართველოს მთავრობამ ახალი საგარეო ვალი აიღო – 5 წლიანი, წლიური 7,5%-ით, ეს ყველაფერი იმ პირობებში, რომ ბოლომდე ნათელი არ არის, რაში უნდა დაიხარჯოს ეს ფული. მოდით ასე ვთქვათ: ის ვალდებულებები, რაც მთავრობამ, აიღო 50 დღიანი პროგრამის ფარგლებში, შესრულებულია. მაგრამ რამდენად გაუმჯობესდა ამ შესრულებით მოსახლეობის კეთილდღეობა, ამას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებდი.

რაც შეეხება უფრო მასშტაბურ დროში განვრცობილ დოკუმენტს, რომელსაც დაარქვეს 50 თვიანი გეგმა, ეს თქვენ თუ იცით, სად არის, მეც გამაცანით და სიამოვნებით გავაკეთებ კომენტარს. მე მგონი, ეს დოკუმენტი ჯერ მომზადებულიც არ არის. მისი კონტურები მაინც რომ არსებობდეს მთავრობა პრეზენტაციას მაინც მოაწყოდა.

- არის საუბრები, რომ მოსალოდნელია გურგენიძის ჩანაცვლება უგულავათი.

- ახლა როდესაც პარლამენტის 80%-ზე მეტს მმართველი პარტია აკონტროლებს, პრემიერის შეცვლა გამორიცხებულია. თუ საქართველოს განვიხილავთ, როგორც ფინანსურ კორპორაციას, პრემიერ მინისტრი გურგენიძე ბრწყინვალე კანდიდატურაა და შესანიშნავად ასრულებს თავის ფუნქციას. თუ საქართველოს განვიხილავთ, როგორც სახელმწიფოს, მაშინ მას სხვანაირი პრემიერი სჭირდება. იგივე თქვენმა მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს რა არის მისთვის საქართველო – ფინანსური კორპორაცია თუ სახელმწიფო.

- რას უწუნებთ პრემიერ მინისტრს?

- არაფერსაც არ ვუწუნებ... მე ვთქვი, რომ ის არის კარგი ფინანსური მენეჯერი. მისთვის საქართველო ფინანსური კორპორაციაა და ის ყველაფრიდან ცდილობს ფული “გამოაღოს”. თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ევრობლიგაციები, რკინიგზის პრივატიზაცია და თუნდაც ის ლამაზად დახატული მომავალი, რომ საქართველო გლობალურ ფინანსურ ცენტრად გადაიქცევა ამ კონტექსტში ჯდება.

- ბატონო ლადო, როგორც ჩანს იაფი კრედიტების პროგრამას მოყვა სამომხმარებლო კრედიტების საპროცენტო განაკვეთების ფაქტობრივად გაორმაგება. ზოგიერთი იმსაც ამბობს, რომ ბანკებში ფული აღარ არის და ამიტომ სესხებს ვეღარც გასცემენ...

- ბანკებმა სესხები რომც გასცენ, მსესხებელი იმდენი აღარ იქნება მაღალი საპროცენტო განაკვეთის აგმო. საპროცენტო განაკვეთების ზრდას აქვს ახსნა. პირველი, ჩვენი ბანკები ძალიან ადვილად მოიზიდავდნენ იაფ საკრედიტო რესურსებს ევროპის საკრედიტო ბაზრებზე. გლობალური საფინანსო კრიზისის გამო ევროპის საკრედიტო ბაზარზე შემცირდა თავისუფალი საკრედიტო რესურსი. ამან განაპირობა ადვილზე საპროცენტო განაკვეთის ზრდა. თუ ჩვენნი ბანკები იქ საშუალოდ 7%-იანი წლიური განაკვეთით შოულობდნენ ფულს, ახლა ეს სულ ცოტა გაორმაგდა. მეორე ფაქტორია ქვეყანაში არსებული ინფლაცია. სტატისტიკის დეპარტამენტს რამდენიც არ უნდა დაამალონოს მთავრობამ ინფლაციის ზუსტი მაჩვენებელი,

თვითონ ბანკებმა ხომ იციან ინფლაცია რამდენიც არის. ამას ემატება ინფლაციური მოლოდინიც, ასე რომ ბანკები სწორედ იზღვევენ თავს და მაღალ პროცენტში აძლევენ კრედიტებს. ბანკების ეს ქცევა გამართლებულია, რადგანაც ისინი ცდილობენ არ გააკოტრდნენ.

– ანუ კომერციული ბანკების გაკოტრების საშიშროება რეალურად დგას?

– რა თქმა უნდა: თუ დაწვევენ საპროცენტო განაკვეთს, ინფლაცია შეუჭამს პროცენტს. ბანკის უმთავრესი შემოსავალი კი სწორედ ეს პროცენტია.

– ამ სერიოზული ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, ფაქტია, რომ საქართველო გარკვეულ ჯილდოებასაც იღებს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან წარმატებული რეფორმებისთვის. ეს ეკონომიკის სამინისტროს დამსახურებაა?

– ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეფასებისგან თავს შევიკავებ ორი მიზეზის გამო. ერთი – მეც გახლდით თავის დროზე ეკონომიკის მინისტრი და ამდენად ჩემგან ამ თემაზე საუბარი სულ ცოტა უხერხულია, მეორე – დღეს სამინისტროები არ არიან დამოუკიდებლები, როგორც იყო იგივე ჩემი მინისტრობის პერიოდში, როცა თითოეული მინისტრო პირადად იყო პასუხისმგებელი. დღეს მთავრობა ერთი გუნდია და არც ერთი სამინისტრო დამოუკიდებლად არაფერს წყვეტს. აქედან გამომდინარე, მთელი მთავრობის პლიუსებზე და მინუსებზე უნდა ვილაპარაკოთ. ჯილდოებს რომ იღებს, მერე რა? ასეთი ჯილდოები ადრეც მიუიღია. შარშანაც საქართველო ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყანა იყო. ეს ჯილდო 2007 წლის გაზაფხულზე მივიღეთ. შემოდგომაზე 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ კი მთავრობამ აღიარა, რომ საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა თურმე სიღარიბეა. მთავარია მოსახლეობამ თავი იგრძნოს უკეთესად!

– ასეთი ინფლაციის პირობებში დაძლევაღია სიღარიბე?

– საქართველო სიღარიბის გარეშე ეს არის მხოლოდ ლამაზი ფრაზა და მას არავითარი შინაარსი არ გააჩნია. თვითონ მთავრობაც აღიარებს, რომ 5 წელიწადში მას გაანახევრებს. სიღარიბე, როგორც ფარდობითი მოვლენა

ყველა ქვეყანაშია. რაც შეეხება ინფლაციას, ეს არის ნომერ პირველი პრობლემა, რაზეც სჭირდება მთავრობას ყურადღების გამახვილება.

– მთავრობამ ამ დღეებში არარეერთი განცხადება გააკეთა ბიუჯეტის გაზრდისა და საგადასახადო განაკვეთის შემცირების თაობაზე. რითი იზრდება ბიუჯეტი?

– რითი იზრდება ვერაფერს გეტყვით, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჯერ მთავრობას საჯაროდ არ გამოუქვეყნებია ეს ინფორმაცია. საგადასახადო ცვლილებები კი უკვე გაცხადებულია. მაგალითად ნავთობპროდუქტებზე აქციზური გადასახადის მოხსნა. თავისთავად აქციზური გადასახადის მოხსნა არ ნიშნავს ნავთობპროდუქტების გაიაფებას. მთავარია თვითონ იმპორტიორებმა გამოიჩინონ კეთილი ნება და ფასები შეამცირონ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობი ძვირდება. შემდეგ გაძვირებას როგორღა შევვებოდებით? როცა ვიცით, რომ საერთაშორისო ფაქტორები ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას, ქვეყნის შიგნით არ უნდა ვაკეთებდეთ ისეთ რამეს, რომ ინფლაციურ პროცერსებს უფრო ვაღრმავებდეთ. რაც შეეხება ღვინოზე აქციზური გადასახადის გაუქმებას, თუ ეს კეთდება იმისათვის, რომ მეღვინეებმა ღვინის ფასი დასწიონ, რათა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდნენ, ეს კარგია. მაგრამ მევენახეებს რა? თუ მეღვინემ მიღებული ეკონომია გამოიყენა ფასის დასაწევად, მევენახეებს ყურძნის შესყიდვის ფასი იგივე დარჩება. ამ გზით წასვლა, რომ ნავთობპროდუქტებსა ღვინოზე მოვსხნათ აქციზი, მე ვფიქრობ, არ არის ის გზა, რომელიც უნდა ტარდებოდეს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით. რაღაც გარკვეულ მომენტში შეიძლება ეფექტი ჰქონდეს, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში პრობლემა მაინც გადაუწყვეტელი რჩება.

– ანუ, ბატონო ლადო, ქვეყანაში არ ტარდება წინდახედული ეკონომიკური პოლიტიკა?

– როგორ არ ტარდება, პირიქით, ძალიან წინდახედული პოლიტიკა ტარდება, მაგრამ ის არ არის გამართლებული ქვეყნის ინსტერსებიდან გამომდინარე. მე ამ პოლიტიკას არ ვიზიარებ. დღეს ქვეყნისთვის უმთავრესი უნდა იყოს ისეთი მთავრობის ყოლა, რომელიც იზრუნებს ინფლაციის

შემცირებაზე და ამ პრობლემას მთლიანად ეროვნულ ბანკს არ გადაულოცავს: მთავრობამ დღეს უნდა იზრუნოს ინფლაციაზე, და არა პიარზე!

– რას იტყვით ახალ პარლამენტზე, სადაც საკონსტიტუციო უმრავლესობას ნაციონალები ფლობენ და რამდენად ეროვნული კანონმდებლობის მიღება შეუძლია ამ პარლამენტს?

– დღეს პარლამენტში ოპოზიცია თითქმის არ არსებობს, ხოლო ის რაც პარლამენტში დაფიქსირდა, მას პირობითად შეიძლება ეწოდოს ოპოზიცია. როცა ასე დიდი უმრავლესობით მოდის ერთი პარტია, შემდეგ პარტიის შიგნით იწყება დაპირისპირება და მოგვიანებით იშლება ფრაქციებად. ჩემი პროგნოზით ორ-სამ წელიწადში აუცილებლად მოხდება სახელისუფლებო პარტიაში განხეთქილება. იმიტომ კი არა, რომ ვიღაც ცუდია ან კარგია, უბრალოდ როცა არ ყავთ რეალური ოპოზიცია, ისინი თვითონ დაიწყებენ ერთმანეთთან დაპირისპირებას. ხოლო როცა არის ძლიერი ოპოზიცია, ეს სახელისუფლებო პარტიას პირიქით, ამაგრებს და ერთიან გუნდად წარმოაჩენს. რაც შეეხება კანონებს, მთავრობაში ისეთი გუნდია, რომელიც ჩვენი სახელწიფოს ეკონომიკურ საფუძვლებს ასუსტებს.

– დაბოლოს, ბატონო ლადო, რას იტყვით ნინო ბურჯანაძის მხრიდან ფონდის „დემოკრატიისათვის“ დაარსების შესახებ და როგორ ფიქრობთ საიდან მოიზიდავს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ფინანსებს? აპირებთ ამ ფონდთან თანამშრომლობას?

– ნამდვილად ვერ გეტყვით საიდან მოიზიდავს ქალბატონი ნინო ფინანსებს. ალბათ ეს უცხოური წყაროები იქნება. მე მინდა ქალბატონ ნინოს ვუსურვო ნებიმიერ შემთხვევაში წარმატება. რაც შეეხება ჩემს თანამშრომლობას ამ ფონდთან, ეს აბსოლუტურად გამორიცხებულია. ბურჯანაძემ თქვა, რომ ის არც არსად წასულა პოლიტიკიდან. ის თვლის, რომ აქტიურ პოლიტიკაშია და ეს ფონდიც მის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. მე კი ღიად განვაცხადე, რომ უახლოეს პერიოდში ჩემი მოღვაწეობა მხოლოდ აკადემიურ სფეროსთან არის დაკავშირებული, ანუ ამ ეტაპზე პოლიტიკური მიზნები ნამდვილად არ გამაჩნია.

– როგორ ფიქრობთ, მიიღებს ოპოზიცია ბურჯანაძის პოლიტიკურ რეცეპტებს?

– რა თქმა უნდა, არ მიიღებს და ალბათ სწორიც იქნება.

– ანუ ბურჯანაძეს სერიოზული საპრეზიდენტო ამბიციები არ უნდა ჰქონდეს?

– ვერ გეტყვით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ძალიან შორია. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. პოლიტიკოსები ხშირად ძალიან სერიოზულ შეცდომებს უშვებენ, მაგრამ ზოგს ამ შეცდომებს პატიობენ, ზოგს მცირე შეცდომასაც არა. აპატიებენ თუ არა ბურჯანაძეს თავის შეცდომებს, არ ვიცი. თუმცა ვიცი, რომ დღეს ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრისთვის ბურჯანაძე მიუღებელია, მაგრამ პოლიტიკაში ყველაფერი ცვალებადია. ხვალ შეიძლება ერთიანი ლიდერი ოპოზიციასაც დასჭირდეს და მაშინ თუკი დღეს აკრიტიკებენ ნინო ბურჯანაძეს, ხვალ თვითონ დაიწყონ მასთან გზების ძიება. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ თავად ნაციონალებსაც დასჭირდეთ მათი აზრით მართვადი, მაგრამ მაინც ნეიტრალურად აღქმადი სახე და ასეთად ქალბატონ ნინოზე აიღონ აქცენტი.

შორენა კოწოწაშვილი